



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ვასალიტეტი

ვასალიტეტი (ფრანგ. vassalité ლიტ. ტერმინი, წარმოიქმნა გვაროვნული წყობილების წიაღში და გადავიდა კლასობრივ საზოგადოებაშიც. საერო სფეროში ის შეცვალა ტერმინმა მონამ (ისევე, როგორც მამა შეცვალა უფალმა). ვ-ის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები ქართულში იხმარებოდა აგრეთვე ფეოდალებისა და უშუალო მწარმოებლების იურიდ. ურთიერთობის აღსანიშნავადაც: უფალი აღნიშნავდა არა მარტო სენიორს, არამედ – გლეხის ბატონსაც (პატრონი). მონა აღნიშნავდა ვასალსაც და თავისუფლებანართმეულ მონა-მწარმოებელსაც, ასევე ყმა, გარდა ვასალისა, ეწოდებოდა ყმა-გლეხსაც. ვასალად მიღება სრულდებოდა განსაკუთრებული ცერემონიით – დალოცვით. ვასალისთვის მიწისა და თანამდებობის („ჭელის“) მიცემას ეწოდებოდა შეწყალება. შეწყალებული ვასალი სენიორისგან მიწას იღებდა სამსახურის პირობით (ბენეფიციუმი). ასეთ „საჭელო მიწას“ XI–XIII სს-ში ეწოდებოდა „საკარგავი“, ხოლო მის მფლობელს – „მოსაკარგავე“. სახელო და სასაკარგავო მიწები თანდათანობით იქცეოდა სამემკვიდრეო საკუთრებად – „მამულად“. სწორედ „მამული“ წარმოადგენდა საქართველოში სენიორიის – ფეოდ. „სახლის“ მატერ. საფუძველს. სენიორიას მეფე ანიჭებდა შეუვალობას (იმუნიტეტს). უფალ-მონობის ხანაში (X ს-მდე) საქართველოში უკვე არსებობდა ფეოდ. იერარქია: მეფე – „აზნაურნი დიდ-დიდნი“ (წარჩინებულნი) – მცირე აზნაურები; პატრონყმობის ხანაში (XI–XIV სს.): მეფე – დიდებულნი, მთავარნი – აზნაურნი; პატრონყმობა // ბატონყმობის ხანაში (XV–XVIII სს.): მეფე – მთავარნი – თავადნი – აზნაურნი. საქართველოში ფეოდ. დაქუცმაცებულობა გახანგრძლივდა არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობების გამო. ამიტომ ვ-იც XIX ს-მდე არსებობდა. ის იყო საქართვ. ფეოდ. კლასის შინაპოლიტი. ორგანიზაცია რუსეთთან შეერთებამდე. პატრონყმობა//ბატონყმობამ ვ-ის შინაარსი დაკარგა მხოლოდ XIX ს-ში. ამ პერიოდში უკვე ბატონყმობა აღნიშნავდა მხოლოდ ფეოდალებისა და ყმა-გლეხების ურთიერთობას. სენიორალურ-ვასალური ურთიერთობა არსებობდა სხვადასხვა ფეოდ. სახელმწიფოებს შორისაც. ფეოდ. საქართველოს XII–XIII

სს-ში ჰყავდა თავისი ვასალური სახელმწიფოები – ყმადნაფიცი ქვეყნები (აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულები), რ-ებიც საქართველოს უხდიდნენ ხარკს და უწევდნენ სამხ. დახმარებას, იყვნენ მისი პოლიტ. გავლენის ქვეშ. საქართველო, თავის მხრივ, იცავდა მათ გარეშე მტრებისაგან (იხ. სტ. პატრონჟმოზა, სენიორია, სათავადო).

*წყარო:* სამართალი ბექასი და აღბუღასი. – სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963; [ისტორიული საბუთები], იქვე, ტ. 2-5, თბ., 1965-74.

*ლიტ.:* ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 1-2, თბ., 1982-84 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6-7).

**ნ. შოშიაშვილი**

---